

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას **საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის, აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის** თანამდებობაზე

**სამუშაოს სპეციფიკა:** პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

### **ფუნქცია - მოვალეობები:**

- სამუშაოს და დავალებების ვადებში შესრულების კონტროლი და პრობლემებზე რეაგირება;
- ეროვნული ბანკის ბიზნეს აპლიკაციების, ასევე კრიტიკული სისტემების ადმინისტრირება, მართვა, კონფიგურაცია, მონიტორინგი, მხარდაჭერა და მათი გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- ახალი სისტემების დანერგვის და არსებული სისტემების განახლების პროცესებში მონაწილეობა;
- ბიზნეს მოთხოვნების ანალიზი და ტრანსფორმაცია IT მიმართულებით;
- ახალი სისტემების გაშვებამდე მისი საექსპლუატაციო ხარვეზების აღმოჩენა და მათი მოგვარების ახალი ინსტრუმენტების/პროცესების მოკვლევა/დანერგვა;
- ბიზნეს აპლიკაციების მომხმარებლებთან ურთიერთობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა;
- ბიზნეს აპლიკაციების კვლევა და ოპტიმიზაცია, სისტემის ლოგების ანალიზი;
- ვიზუალიზაციის ავტომატიზირებისთვის სკრიპტების შემუშავება;
- პრობლემების და ინციდენტების ანალიზი და გამოძიება;
- აპლიკაციის მწარმოებელ კომპანიებთან ურთიერთობა;
- დასანერგი აპლიკაციებისთვის ინფრასტრუქტურული გარემოს მომზადებისთვის მოთხოვნების ჩამოყალიბება;
- სისტემის ტესტირების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზების კვლევა და ვენდორისთვის მიწოდება;
- ბიზნეს მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი ანგარიშგების ფორმების შექმნა, ან უკვე არსებული ფორმების მოდიფიკაცია.
- უწყვეტი ინტეგრაციის, დეველოპმენტის და ტესტირების სისტემების ავტომატიზაციის ინსტრუმენტების მართვა;
- აპლიკაციების და სერვერების მონიტორინგის საშუალებების კონფიგურაცია;
- დეველოპმენტის, ტესტირების და QA - ის ავტომატიზებული სისტემების კონფიგურაცია და მართვა.

## ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, სასურველია კომპიუტერული მეცნიერებების ან ზუსტი მეცნიერებების განხრით;
- მსგავს პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
- რელაციურ მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
- ფართო მასშტაბიან გამოთვლით გარემოში პროგრამული პროდუქტების პროექტირების, ინტეგრაციის და მასშტაბირების გამოცდილება;
- კონფიგურაციის მართვის სისტემებთან მუშაობის გამოცდილება (Ansible, Chef, Puppet, ...)
- უწყვეტი ინტეგრაციის სისტემებთან მუშაობის გამოცდილება (Jenkins, Travis CI, Builtbot, ...);
- კორპორატიულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება, როგორცაა Windows Server Family, MS SQL Server, T-Sql, UNIX/Linux systems, IP networking (TCP/IP, HTTP, DNS) და უსაფრთხოების საფუძვლების ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;

## კომპეტენციები:

- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი;
- კვლევის უნარი;
- ძლიერი ანალიტიკური აზროვნება;
- კომუნიკაბელურობა.

**თანამდებობრივი სარგო: 3841 (დარიცხული)**

**კონკურსის ფორმა:** კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ **2019 წლის 28 მარტამდე** CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება: **აპლიკაციების ადმინისტრირების მთავარი სპეციალისტი**